# გოგონების საბავშვო ჟურნალი

25 აპრილი 2014 წელი

ფასი 1 ლარი

17

შემეცნებით-გასარ



ყოველ პარასკევს

DISNEY

ზღაპრების თითო წიგნი

**მეექვსე წიგნი**

## სუპერიოჯახი

ფასი 5 ლარი

შეგიძლიათ შეიძინოთ „საბავშვო ჟურნალის“ ამ ნომერთან ერთად.

წიგნი და ჟურნალი ერთად — 6 ლარი


საბავშვო ჟურნალი

შენი კუპონი

კუპონი ძალაშია მხოლოდ 25 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით

აკვარელის საღებავების 22-ფერიანი ნაკრები

ამოჭერი კუპონი წარადგინე "ბიბლუსის" ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღე საღებავები 40%-იანი ფასდაკლებით

~~13,65~~

8.19 ლარი



ISSN 1987 - 5134

9 771987 513005

მე მერიდა ვარ, ამქვეყნად ყველაზე მამაცი პრინცესა. მიზანში სროლა და ცხენით ჯირითი ჩემი საყვარელი გასართობია. შენ რით, ერთობი? დღეს შენს გართობაზე მე და „საბავშვო ჟარუსელი“ ვიზრუნებთ.





თვალი გააყოლე დახლართულ ხაზებს და ნახე, რომელი ნასროლი მოხვდა ყველაზე ზუსტად მიზანში?







მერიდას დედა ნამდვილი დედოფალია და შვილებისგან ყოველთვის ზრდილობიან საუბარს ითხოვს. შენც ხომ იცი ზრდილობიანი სიტყვები? შემოხაზე ასეთი სიტყვები.

დაჯექი | ჭამე | რა გინდა

დაბრძანდი | მიირთვი | რა გნებავთ

როგორ ბრძანდებით | როგორ ხარ

ვ$^{3}$ ი$^{6}$ მ$^{1}$ წ$^{2}$ ა$^{4}$ დ$^{5}$

ე$^{2}$ ხ$^{3}$ ი$^{5}$ ვ$^{4}$ ძ$^{1}$

ტ$^{5}$ რ$^{1}$ ლ$^{3}$ უ$^{2}$ ე$^{4}$ ი$^{6}$





ეს ხუჭუჭა ბიჭები მერიდას ძმები არიან. სამივენი გიჟდებიან ჭამა-სმაზე. თუ ამ ასოებს თანმიმდევრობით ამოიკითხავ, გაიგებ, რომელს რომელი საჭმელი მოსწონს.



მერიდას გასაცნობად სხვა ქვეყნების პრინცები მივიდნენ. გაუფერადე გოგონას კაბა ისე ლამაზად, რომ ყველა პრინცს მოეწონოს.



# ლაბირინთი



მერიდა ჯადოქარს დაეძებს, რომ დედამისს წყევლა მოხსნას. მიიყვანე გოგონა მასთან



# გამოცანვორდი

**1** ფრთაჭრელი და მოხატული,
ყვავილების მოყვარული,
დაფარფატებს მინდორ-ველად,
ბავშვი დასდევს დასაჭერად



**3** გარეთ ატლასი,
შიგნით ათასი





**2** თავდახვეული
მხალია,
ბოსტნეულობის
თვალია

**7** საკრავია
საამური,
ეწოდება ...





**4** არის ცხოველი — ქაცვია,
ტანზე ეკალი აცვია

**5** არც ფრთები
მაქვს, არც
თვალები,
ლურჯ ცას
შავად
ვეფარები



**6** თავი აქვს და პირი არა,
ჩაქუჩს სცემენ წარამარა





**8** ხან ძველია, ხან ახალი,
ხან ბურთია, ხან ნამგალი

**9** გრძელი, ცივი ცხოველია,
ბოროტი და შხამისარა,
ამიტომაც სულ ყველას სძულს,
იხსენებენ მუდამ ავად






ვინ შეუჭამა დათუნიას თაფლი? დათვალე ჯანფეტები და ორცხობილები. გამოაკელი ორცხობილებს ჯანფეტების რაოდენობა და დარჩენილი ციფრი გიკარნახებს, რომელ ცხოველს შეუჭამია დათუჩას დაფლი.







Discovery EDUCATION

ყოველ ოთხშაბათს

4 შეაგროვე ამბები და შექმენი „დისქავერის ენციკლოპედიის" ტომეული საკუთარი ხელით !

ვაგროვებთ მეოთხე ტომს!

ყოველი ეს წიგნი ახალი სამყაროა!










23-დან 30 აპრილამდე
მეოთხე ტომის XI წიგნი

წიგნის ფასი 2 ლარი
ყუთთან ერთად 5 ლარი

შეიძინეთ დისქავერის ენციკლოპედია:

ქართულ ენაზე და გაეცანი უჩვეულო მოვლენებსა და საინტერესო ფაქტებს

ან ინგლისურ ენაზე გაიცანი სამყარო და თან დახვეწე ინგლისური. ყოველ მომდევნო ტომთან ერთად აიმაღლე ენის ცოდნის საფეხური

თუ გამოგრჩათ რომელიმე წიგნი წინა ტომებიდან, მათი შეძენა წიგნის მაღაზიებში შეგიძლიათ.

პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge ელვა.GE

# მულტლაბირინთი

ამოიკითხე ლაბირინთში ქართული მულტგმირების სახელები

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ვ | ჰ | ე | ჯ | ე | ლ | ი | ა | ტ | ე | კ | უ |
| ც | გ | ნ | თ | ა | ტ | ი | ფ | მ | ო | ფ | ო | ტ |
| ნ | ა | ხ | ე | ვ | ა | რ | ქ | ა | თ | ა | მ | ა |
| მ | რ | ი | რ | ც | ს | ლ | ო | ა | ხ | ნ | ბ | რ |
| მ | ო | დ | ძ | გ | ი | ო | ს | კ | ე | კ | ლ | ა |
| ო | ბ | ბ | ი | ს | კ | დ | ფ | წ | ი | უ | ე | მ |
| ვ | მ | ხ | ბ | ს | ო | ფ | ლ | რ | პ | ც | ბ | ზ |
| ნ | ო | კ | ე | ი | უ | კ | დ | უ | კ | ტ | მ | ი |
| გ | ბ | ო | ს | ნ | ი | გ | პ | წ | ხ | ვ | ნ | ს |
| ლ | ო | დ | ო | ჯ | რ | ნ | წ | უ | ნ | ა | ი | გ |
| ი | დ | ა | ლ | ჯ | უ | კ | ბ | ნ | გ | ო | ჯ | ტ |
| ლ | უ | ა | ნ | ი | ლ | ი | ბ | ა | ბ | კ | რ | დ |

ტასიკო ↓
ნახევარქათამა →
ბომბორა ↑
თერძი ბესო ↓
ბაბილინა ←

კომბლე ↓
წრუწუნა ↓
წუნა →
სიზმარა ↑

# მეგობრები

ერთ პატარა სოფელში, ლამაზ ხის  ცხოვ-
რობდნენ    და . ისინი ერთ-
მანეთის კარგი მეგობრები იყვნენ.  ჰყავდა
პაწაწინა  . ერთ ბნელ ღამეს  შემოი-
პარა , მას   მოპარვა სურდა.
 მაშინვე იგრძნო  მოახლოება და
საშინელი კრიახი ატეხა.  ხმაზე  გამო-
ეღვიძა და  ფერდში წიხლი უთავაზა. კარისკენ
გამოქცეულ  თავზე  დაახტა, მან მაინც
მოასწრო გაქცევა, მაგრამ გზაში  წამოეწია
და კინალამ  მოაგლიჯა. აი, ასე დასაჯეს მეგო-
ბრებმა   ქურდი.

# თავსატეხები

რისი შეჩერება არ შეუძლია არავითარ ძალას?

დროის

რა არის ქვეყნად ისეთი, რაც ყველაფერს სჭირდება?

სახელი

კლასში 35 მოსწავლეა. შეიძლება თუ არა, რომ თითოეული მათგანის გვარი განსხვავებული ქართული ასოებით დაიწყოს?

არა, რადგან ქართულში მხოლოდ 33 ასოა

ყველაზე ცელქი და მოუსვენარი ბავშვი როდის არის ყველაზე მშვიდად?

როცა სძინავს

# ლექსები

ლალი ჯაფარაშვილი



## ძილის წინ

— სანამ შენი გავხდებოდი
სად ვიყავი დედა?
— იმ ლალანა ვარსკვლავებთან
ცის თაღზე რომ ხედავ!
— მერე როგორ ჩამოვედი,
ფრთები მქონდა წინათ?
— ანგელოზმა მოგიყვანა,
ჩემო პაწაწინა!
— ანგელოზი როგორია?
მინდა ვნახო, დედა!
— დაიძინე და სიზმარში
შენთან მოფრინდება!

## ფაფის ჭამა

ერთი კოვზი, — დედიკოსთვის,
მამიკოსთვის, — კიდევ ერთი,
ის მესამე, ბაბუს ხათრით,
მეოთხეზე — არა-მეთქი!
ვთქვი და ბებოც შემოვიდა,
შემომღიმა, — ჩემთვის არა?
რას ვიზამდი, ისე მიყვარს,
ის მეოთხეც შემაჭამა;
თქვენ გგონიათ, ამით მოვრჩით?
სულის მოთქმაც არ მაცალა, —
ახლა ნიშა ხარისაო,
ესეც, სავსე მთვარისაო,
ღრუბლის ქულა ფთილისაო,
შვიდ მაისის წვიმისაო,
მერე მურა დათვისაო,
ეწყინება არწივსაო,
დაგვავიწყდა წიწილიო,
მეთორმეტეც მზის წილიო,
ესეც ბოლო, ერთიო,
შეგვეწიოს ღმერთიო!
გამახსენდა კნუტი ნაბი,
მოვიკითხე ფაფის ქვაბი,
გამოვწმინდე ის ქვაბი და
კნუტისთვისაც გამოვიდა!

## კეთილი ჯადოქარი

შემობრძანდა ჯადოქარი,
კლიკ-კლუკ! — გახსნა სიზმრის კარი,
ფერად სიზმრებს დაურიგებს,
ვინც კეთილი ბავშვი არი!

# პრანჭია გოგონები

ყველა გოგონას უყვარს გაპრანჭვა, ახალი ვარცხნილობა და დედიკოს საღებავები. არც ეს გოგონები არიან გამონაკლისი. დააკვირდი თითოეულს და ზუსტად ისევე გააფერადე მათი ასლები.



გამოჭერი ეს გოგონები და თითოეულს მოუძებნე თავისი შესაბამისი ტანი და ფეხები




## ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს!




საუკეთესო საჩუქარი ბავშვებს „დედაისტორია პატარებისათვის“ (15 ტომად) — ჩვენი სამშობლოს მატიანე ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, ილუსტრირებული, ზღაპრად მოყოლილი, ქვის ხანიდან დღემდე...




წიგნი და ჟურნალი ერთად
**7 ლარი**

წიგნთან ერთად ჟურნალი „ჩვენი სამშობლო“ თითოეული ნომერი საქართველოს თითო ლამაზ მხარეს მიეძღვნება და პატარებს მის მდებარეობასა და ქალაქებს, მდინარეებსა და ტბებს, ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ისტორიასა და კულტურას გააცნობს (მეთორმეტე ნაწილი — ქართლი).

218-42-32
მოიკითხეთ პრესის გავრცელების ადგილებში

## წაუკითხეთ შვილებს და შეუნახეთ შვილიშვილებს...

# საშინაო

მათემატიკა

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და გამოთვალე, რომელი გოგონა რამდენი წლისაა



## დაქალები

ჩემი მეგობარი ლიკა ხათუნაზე 1 წლით უმცროსია, ხათუნა 3 წლით უფროსია ნატაზე, ნატა კი ერთი წლით უფროსია ნინოზე, რომელიც 10 წლის გახდა. რამდენი წლისაა ლიკა?

| | |
|---|---|
| ნინო | 10 |
| ნატა | |
| ხათუნა | |
| ლიკა | |

ყურადღება

შემოხაზე ყველა რომბი. წრეები ყვითლად გააფერადე, კვადრატები ლურჯად, სამ-კუთხედები იისფრად, დანარჩენები წითლად



მათემატიკა

რისგან შედგება ციფრი 10? ჩაწერე ცარიელ უჯრებში ციფრები ისე, რომ მათი ჯამი 10-ს უტოლდებოდეს



# დავალებები

**მეტყველება**

წაიკითხე ტექსტი და შეავსე ცარიელი უჯრები საჭირო სიტყვებით

იყო და არა იყო რა, იყო ორი მეგობარი, ერთი სიტყვაძუნწი, მეორე კი ყბედი. სიტყვაძუნწი ყველაფერს მოკლედ ამბობდა, მაგალითად, ბავშვი დგას. მეორე კი სხვა სიტყვებსაც დაამატებდა, მაგალითად, ბავშვი წყნარად დგას, მერე კიდევ ერთ სიტყვას დაამატებდა – ბავშვი ეზოში წყნარად დგას და ასე შემდეგ. შენც ყბედი მეგობარივით თითო რიგში თითო სიტყვის დამატება მოგიწევს.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახლი | დგას | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

# სათამაშო

დაამზადე სამგანზომილებიანი
ნახატი საკუთარი ხელით

1






2




**1.** მე-16-17 გვ-ები დააწე-ბე მუყაოზე და გამოჭერი დეტალები წითელ ხაზზე



**2.** თითოეული ფიგურა გადაკეცე წყვეტილ ხაზებზე



**3.** მიაწებე დეტალები ერთმანე-თზე მი-თითებული ნომრებით




სათამაშო მზადაა






1ა
1ბ
2ბ
იცოდი, რომ მდედრ ბეჰემოთს ვარდისფერი რძე აქვს და თან ისეთი ნოყიერი, რომ 1 ჭიქა რძე თურმე 500 კალორიას შეიცავს?

# ჩვენი პლანეტა



პირველი ექსპერიმენტული სკოლის მეოთხეკლასელებმა "დედამიწის დღე" „საბავშვო კარუსელთან" ერთად აღნიშნეს.






დედამიწის დღე 22 აპრილს აღინიშნება. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით კლასის დამრიგებელმა ცირა გოგუაძემ მოსწავლეებთან ერთად პროექტის „ჩვენი პლანეტა" პრეზენტაცია მოსწავლეებთან ერთად მოაწყო. მანამდე კლასში გამოკითხვა ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების უმრავლესობა „საბავშვო კარუსელის" მკითხველი იყო. რედაქციამ მათი სურვილი გაითვალისწინა და მათი ღონისძიება ჟურნალშიც გააშუქა. საპრეზენტაციოდ ბავშვებმა სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნები შეარჩიეს, ჯგუფებად განაწილდნენ და არჩეული ქვეყნების შესახებ საინტერესო ფაქტები გაგვაცნეს. ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციულ სამოსში გამოწყობილმა მოსწავლეებმა პროექტორის საშუალებით კონკრეტული ქვეყნის ღირსშესანიშნაობების ამსახველი სურათები წარმოადგინეს.










ბავშვების ნამუშევრები ჟიურიმ შეაფასა. მასწავლებლებმა ნინო ზურაბიშვილმა, მაკა შუბითიძემ, ირმა მაღალაშვილმა, თეონა გოთიკაშვილმა და თამუნა გილაურმა ნომინაციები ასე გაანაწილეს: ყველაზე ინფორმაციული პრეზენტაციის ავტორებად ამერიკისა და ბრაზილიის წარმომადგენლები დასახელდნენ. ყველაზე ორიგინალურად ჩაცმულები ეგვიპტის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. პროექტის თემის ორიგინალური ხედვისთვის საბერძნეთის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ. ნომინაციაში „საუკეთესო პრეზენტაცია" იტალიის გუნდმა გაიმარჯვა. პრეზენტაციის ორიგინალურად გაფორმებისთვის ჩინეთის წარმომადგენლები დააჯილდოეს.




საუკეთესო გულშემატკივრის წოდება და კლასის საუკეთესო ხელმძღვანელის ტიტული ცირა გოგუაძეს ერგო.

# საინტერესო ამბები



## ეგვიპტე

ეგვიპტე აფრიკის ქვეყანაა, მისი დედაქალაქია კაირო. მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი – პირამიდები ეგვიპტეში მდებარეობს. ამ პირამიდებიდან ყველაზე დიდია ხეოფსის პირამიდა. ძველი ეგვიპტის მეფეს ფარაონი ერქვა. სწორედ ფარაონების აკლდამას წარმოადგენს პირამიდები. პირამიდების გარდა, ეგვიპტე ყოველთვის ასოცირდება მუმიებთან, სფინქსის ქანდაკებასთან, საჰარის უდაბნოსა და აქლემებთან.

## საბერძნეთი

საბერძნეთი ევროპის ქვეყანაა, მის დედაქალაქს ათენი ჰქვია. ძველად საბერძნეთს ელადა ერქვა, ბერძნებს – ელინები. საბერძნეთი ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, ცნობილი თავისი ღმერთებით. ძველბერძენთა უზენაეს ღმერთს ზევსი ერქვა, მისი და სხვა დანარჩენი ღმერთების სამყოფელი იყო ოლიმპის მთაზე. საბერძნეთში ჩაეყარა საფუძველი ოლიმპიურ თამაშებს.



## იტალია

იტალია ულამაზესი ქვეყანაა. რუკას თუ დახედავ, მაშინვე იცნობ მას, რადგან უცნაური ფორმა აქვს – ჩექმას წააგავს. იტალიის დედაქალაქია რომი, რომელსაც მარადიულ ქალაქს უწოდებენ. აგრეთვე ის არის წმინდა პეტრეს გუმბათის, კოლიზეუმის, ტრევის ფანტანისა და სიქსტის კაპელას სახლი. რომში მდებარეობს ვატიკანი – რომის პაპის რეზიდენცია. იტალიის ერთ-ერთი საოცარი ქალაქია ვენეცია – ქალაქი წყალზე. აქ ქუჩების ნაცვლად სახლებს შორის წყლის არხებია გაყვანილი და ხალხი სპეციალური ნავებით – გონდოლებით გადაადგილდება.



## ბრაზილია

ბრაზილია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მდებარეობს, რომლის დედაქალაქსაც, ისევე როგორც ქვეყანას, ბრაზილია ჰქვია.

ბრაზილიის ხსენებაზე მაშინვე ყველას კარნავალი ახსენდება. ეს ცნობილი კარნავალი რიო-დე-ჟანეიროში იმართება და რიოს კარნავალის სახელითაა ცნობილი. ზეიმი ყოველწლიურად აღდგომამდე 7 კვირით ადრე იწყება და შაბათ დღეს ტარდება. კარნავალი – ეს სამბას საუკეთესო სკოლების შეჯიბრია, რომელშიც მონაწილეობას თითოეულიდან 2000-დან 5000-მდე ადამიანი იღებს.



## აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზეა მოქცეული. მისი დედაქალაქია ვაშინგტონი. ქალაქს ეს სახელი აშშ-ის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის პატივსაცემად ეწოდა. აშშ ცნობილია ცათამბჯენებით, დისნეი ლენდით, ჰოლივუდით, თეთრი სახლით.

# გააფერადე



# გაივარჯიშე ხელი



შეაერთე წერტილები და გააფერადე ნახატი



ყოველ ფინჯანს თავისი ლამბაქი მოუძებნე



გაატარე ჭიაყელა
ვაშლის ლაბირინთში



ეს ბუთხუზა ბეჰემოთები საცეკვაოდ გამოეწყვნენ.
დაამთავრე მათი ჯაბების გაფორმება



# შიში

## რუსული ხალხური ზღაპარი



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.

იყვნენ: ბებო-ბაბუსა, გოგო-კისკისა, ქათამი-ქოთქოთა და თაგვი-წრიპინა. ისინი ყოველდღე ერთად დადიოდნენ წყლის მოსატანად. ბებო-ბაბუსას დიდი ვედროები ჰქონდა, გოგო-კისკისას — შედარებით პატარა, ქათამ-ქოთქოთას — ვაშლისოდენა, თაგვ-წრიპინას კი — სათითეზე ოდნავ დიდი.

ბებო წყალს ჭიდან იღებდა, გოგონა — გეჯიდან, ქათამი — გუბიდან, წრუწუნა კი — ძროხის ნაკვალევიდან.

ვედროებს რომ აავსებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, ბებო დიდი ნაბიჯებით მოდიოდა და მისი ვედროებიდან წყალი ასე ისხმებოდა: ტყლააააშ-ტყლუუუუშ, გოგოს ვედროებიდან კი ასე — ტყლაშ-ტყლუშ, ქათმის სათლებიდან — ტყლაშ-ტყლაშ — ტყლუშ-ტყლუშ, თაგვი მიკუნკულებდა და ტყლაშ-ტყლუშ-ტყლაშ-ტყლუშ გაუდიოდა.





ერთხელ ისინი ვედროაკიდებულები შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზად ვაშლის ხესთან შეისვენეს. ხის ძირში ბაჭია იჯდა. უცბად ქარმა დაუბერა, ხიდან ერთი ვაშლი ჩამოვარდა და ბაჭიას შიგ შუბლში მოხვდა. შეშინებული ყურცქვიტა განზე გახტა და ჩვენს წყლის მზიდავებს ფეხებში შეუვარდა.



შეშინდნენ წყლის მზიდავები, ვედროები იქვე დაყარეს და ფაცხაფუცხით გაიქცნენ შინისაკენ. ბებო-ბაბუსა სკამის უკან დაიმალა, გოგო-კისკისა ბებოს ამოეფარა, ქათამი-ქოთქოთა ღუმელზე ახტა, თაგვი-წრიპინა
კი ღუმელში შეძვრა.

ბებო მოთქმას მოჰყვა:

— უიმეეე, კინაღამ დათვმა დამტორა!

გოგო ატირდა:

— აი, ამოდენა მგელი მეცა!

ქათამი აქოთქოთდა:

— მელია მომეპარა და კინაღამ მომიტაცა!

თაგვი აწრიპინდა:

— რა შიში ვჭამე, რა შიში! ვეფხვისოდენა კატა იყო!





ამ დროს ტყეში ბაჭია ბუჩქს ამოფარებოდა და
გულში ფიქრობდა: „ბიჭო, ბიჭო, რას გადავრჩი!
ოთხი მონადირე თავისი მწევრებით მომსდევდა
და ძლივს გავასწარიო“.

აი, ამაზეა ნათქვამი: შიშს დიდი თვალები აქვს,
რაც არ არის, იმას დაგანახვებსო!

# შეამოწმე შენი ცოდნა

1. რა ჰქვია ცხენის შვილს?

ა- კრავი;

ბ- ბოცვერი;

გ- კვიცი.





2. რა ათბობს დედამიწას?

ა- მთვარე;

ბ- მზე;

გ- მარსი.

4. რა ჰქვია წიწილების დედას?

ა- მამალი;

ბ- ვარია;

გ- კრუხი.





3. ანდაზის მიხედვით, რისი გული გაიყო ცხრა ძმამ?

ა- თხილის;

ბ- კაკლის;

გ- წაბლის.

5. რომელი არ არის მწერი?

ა- კოღო;

ბ- გომბეშო;

გ- ბუზი.





ჩვენი ელექტრონული მისამართია:
Sabavshvo@palitra.ge

6. რას ამზადებენ მატყლისგან?

ა- შალის ძაფს;

ბ- ბამბის ძაფს;

გ- აბრეშუმის ძაფს.





8. ვის ეტლად გადააქცია ფერიამ გოგრა?

ა- კონკიას;

ბ- მულანის;

გ- ბელის.







7. რომელია წყლის ბინადარი?

ა- ზღარბი;

ბ- კვერნა;

გ- თევზი.

თუ 1-დან 3 კითხვამდე გაეცი სწორი პასუხი – ბევრი იკითხე და მალე უკეთესი შედეგი გექნება. ამაში ჩვენი ჟურნალიც დაგეხმარება. ახლა კი გადაშალე ჟურნალი მე-6 გვერდზე და შეავსე გამოცანვორდი

თუ 3-დან 5 კითხვამდე გაეცი სწორი პასუხი – ზარმაცი რომ არ იყო და თვალი თამაშისკენ არ გაგირბოდეს, ყველა კითხვას სწორად უპასუხებდი. ახლა გადაშალე მე-11 გვერდზე და წაიკითხე ლექსები.

5-დან 7 კითხვამდე უპასუხე სწორად? – ვერაფერს ვიტყვით, საკმაოდ ჭკვიანი ბავშვი ხარ. კითხვაც გიყვარს, დავალებებსაც გულისყურით ასრულებ და თამაშისთვისაც გრჩება დრო. ახლა დაჯექი რაიმე ლამაზი ნახატი დახატე.

## №16-ის პასუხები

**გვ. 6. სკანვორდი**
1. პეპელა; 2. კომბოსტო; 3. ბროწეული; 4. ზღარბი; 5. ღრუბელი; 6. ლურსმანი; 7. სალამური; 8. მთვარე; 9. გველი.
**გვ. 7.** №2 ციყვი.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-გ; 2-ბ; 3-ა; 4-გ; 5-ბ; 6-ა; 7-გ; 8-ა.
**გვ. 30. ლაბირინთი. იკითხება: ფაუნა**
1. ფარშავანგი; 2. ვეფხვი; 3. ზებრა; 4. თუთიყუში; 5. ნიანგი; 6. მტრედი; 7. ჟირაფი; 8. ციყვი; 9. სპილო; 10. ხოხობი; 11. გედი.

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

# მხატვრის გვერდი



მარი ხაჭიპერაძე, 10 წლის



ნინო ყაჭეიშვილი, 10 წლის



ნანიკო ალავიძე, 6 წლის



ნიტა ინანიშვილი, 5 წლის



ნატალი სურამელაშვილი, 7 წლის

# რომელია შენი ხილი?

## ტესტი

1. შენი საყვარელი ფერია:
ა) წითელი — 3;
ბ) ყვითელი — 2;
გ) მწვანე — 1;
დ) ნარინჯისფერი — 0.

2. გიყვარს ჯამა?
ა) დიახ — 3;
ბ) არა — 2;
გ) ძალით მაჭმევენ — 0;
დ) მთელი დღე ვჭამ — 1.

3. რომელი მოგწონს ყველაზე მეტად?
ა) ზღარბი — 3;
ბ) მაიმუნი — 2;
გ) გოჭი — 0;
დ) ბოჩოლა — 1.



4. რომელი ხილის წვენი გიყვარს?
ა) ვაშლის — 3;
ბ) ანანასის — 2;
გ) ფორთოხლის — 0;
დ) ატმის — 1.

5. შენი საყვარელი წელიწადის დროა:
ა) გაზაფხული — 3;
ბ) ზაფხული — 1;
გ) შემოდგომა — 0;
დ) ზამთარი — 3.

6. სად დაისვენებდი დიდი სიამოვნებით?
ა) ჩემს სოფელში — 3;
ბ) ჯუნგლებში — 2;
გ) ზღვის კურორტზე — 0;
დ) ნებისმიერ ადგილას, სადაც ლამაზი ბუნებაა — 1.

შეაჯამე ქულები:

18-13 ქულა: შენი ხილია ლოყაწითელა ვაშლი. ის შენ სილამაზეს, ჯანმრთელობასა და მშვენიერებას შეგმატებს.

12-7 ქულა: შენი ხილი ბანანია! გიყვარს მზე და სითბო. შენი მოუსვენრობის და სიცელქის გამოვლენა ყველაზე მეტად ზაფხულის თბილ დღეებში შეგიძლია.

6-3 ქულა: შენ მსხალი მოგიხდება! ის ყველაზე მეტად შეგმატებს ჯანმრთელობას და კიდევ უფრო ჭკვიანი გახდები, ვიდრე იყავი.

0-2 ქულა: მოითხოვე დიდი რაოდენობით ფორთოხალი! ჭამე რაც შეიძლება მეტი ფორთოხალი და ყოველთვის ჯანმრთელი ორგანიზმი გექნება... და მზესავით იბრწყინებ!

# ლაბირინთი



ამოშალე ლაბირინთში მოცე-
მული ცხოველები და ფრინვე-
ლები, დარჩენილი ასოებით კი
მიხვდები, რა ჰქვია ცხოველთა
სამყაროს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფ | ა | რ | ი | ე | ფ | ხ | ვ |
| ფ | ა | შ | გ | ვ | ზ | ე | ი |
| ნ | ვ | ა | ნ | ა | რ | ბ | თ |
| ი | ა | ნ | ე | რ | ა | თ | უ |
| ს | ი | გ | დ | ტ | მ | ი | ყ |
| პ | ი | ქ | ი | უ | ი | შ | უ |
| ო | ლ | ი | რ | ც | ი | გ | ე |
| ნ | ი | ფ | ა | ი | ყ | ი | დ |
| ხ | ო | ხ | ო | ბ | ვ | ი | ა |





















## იპოვე ორი ერთნაირი წრე

| | | |
|---|---|---|
| 1 | 8 | 6 |
| 4 | 2 | 5 |
| 7 | 9 | 3 |

| | | |
|---|---|---|
| 1 | 2 | 4 |
| 8 | 3 | 9 |
| 5 | 6 | 7 |

| | | |
|---|---|---|
| 9 | 5 | 7 |
| 2 | 8 | 1 |
| 3 | 4 | 6 |

| | | |
|---|---|---|
| 7 | 1 | 8 |
| 3 | 6 | 4 |
| 9 | 2 | 5 |

| | | |
|---|---|---|
| 1 | 8 | 6 |
| 4 | 2 | 5 |
| 7 | 9 | 3 |




დისნეის ზღაპრების თითო წიგნი
ყოველ პარასკევს ჟურნალ
საბავშვო კარუსელთან ერთად!

25 აპრილიდან 2 მაისამდე

ტომი 6

**სუპეროჯახი**

იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში დისნეის გმირებთან და შეაგროვე ზღაპრების კოლექცია 24 ტომად

მაგარი ყდითა და ფერადი ილუსტრაციებით

წიგნის სპეციალური ფასი:
5 ლარი

შემდეგი წიგნი:
**ლედი და მაწანწალა**



# გამომცემლობა პალიტრა L -ის ახალი წიგნები




## მომხიბვლავი გოგონა

### პოპვარსკვლავის კოსმეტიკის ნაკრები 6+

ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყევი წიგნში მოცემულ რჩევებს; შექმენი საკუთარი სტილი; გაიკეთე მაკიაჟი და გახდი ნამდვილი პოპვარსკვლავი - ამისთვის წიგნში ყველაფერია.

წიგნს თან ახლავს კოსმეტიკის ნაკრები:

პომადა,
თვალის ჩრდილი,
ფუნჯები და სხვ.

ფასი 16.99 ლარი

სიახლე



გვ. რაოდ.: 14
ფორმატი: 18X25
ყდა: მაგარი

გვ. რაოდ.: 14
ფორმატი: 26X26
ყდა: მაგარი

ფასი 15.99 ლარი

სიახლე

## წითელქუდა

### კუბებიანი წიგნი




პატარებო ჩვენ სულ ახლებურად გადავწყვიტეთ თქვენთვის წითელქუდას ამბის წარმოდგენა!

კუბებიანი, ასაწყობი წითელქუდას დრო მოვიდა...
ზღაპრის ექვსი ძირითადი სცენა ექვს ნახატზეა აღბეჭდილი.
ნახატი 9 ნაწილისგან შედგება და შესაბამისად, კუბიც 9 ცალია.
თუ ყურადღებით დააკვირდები ნახატებს, სულაც არ გაგიჭირდება კუბების შესაბამისი წახნაგების მოძებნა. სულ მალე კი ყველა ნახატის აწყობას შეძლებ. გზა მშვიდობისა,
მხიარული კუბების სამყაროში!..




## ნატვრის ტყის ზღაპარი



გვ. რაოდ.: 192
ფორმატი: 22X28.5
ყდა: ბალიშა

ფასი 19.95 ლარი

ეს ნატვრის ტყეა!

ბილიკის ბოლოს, სადაც კესანები ყვავიან, არის ჭიშკარი იმ ქვეყანაში შესასვლელი, რომელსაც არავინ იცნობს, იქ ყველაფერი ჯადოსნურია.
შეუერთდი ელენსა და სოფის, რომ მათთან ერთად გაიცნო მისი ბინადრები: დედოფალი ფლორა, ქალბატონი ნარშავა, მასწავლებელი ლელვა, მოცეკვავე სახლი ვიდერშინი, ონავარი ელფები, ჭინკები და ტალახისსროლია გობლინები.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები ადგილზე მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge